



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშლიკი“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმაღინი

19 ოქტომბერი 2020 წელი
N 27/36

გვ. N 1

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	5
	2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	11
	3. სხვა გარემოებები	12
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	14
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	17
	კონსოლიდირებული ერთეულები	37
	საკონტაქტო ინფორმაცია	38

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დეპარტამენტი – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი.

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარება, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვა და განვითარების ღონისძიებათა უზრუნველყოფა, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2019 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ:

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობის %	საკასო
სულ სამინისტრო	2,000,000,000	2,013,960,000	1%	2,121,193,000
მომუშავეთა რიცხოვნობა	339	-	-	-
ხარჯები	357,800,000	306,423,000	-14%	301,352,000
შრომის ანაზღაურება	10,865,000	9,374,000	-14%	9,367,000
არაფინანსური	1,476,300,000	1,536,132,000	4%	1,618,575,000
აქტივების ზრდა				
ფინანსური აქტივების ზრდა	165,900,000	171,405,000	3%	201,267,000
ვალდებულებების კლება	-	-	-	-

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გადანაწილების შესახებ:¹

საბალანსო ერთეულის დასახელება	2,121,193,000	100%
სამინისტროს აპარატი	356,623,000	17%
სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	366,966,000	17%
სსიპ – ვერაზის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	755,001,000	36%
სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	640,840,000	30%
სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო	1,763,000	0%

¹ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2 - ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 24,148,176 ლარი, რომელიც ძირითადად შედგება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავლებისგან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების^[1] (ერთად „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ, ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს^[2] მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების^[3] შესაბამისად.

[1] იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

[2] „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

[3] „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

საკითხი 1.1 სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აზიის განვითარების ბანკის პროექტის² ფარგლებში ქ. ფოთში განახორციელა კანალიზაციის სატუმბი სადგურებისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.³

ხელშეკრულებების შესაბამისად, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტს ფონდის მიმართ წარმოეშვა სასესხო დავალიანება, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,057,006 ლარს⁴ და წარმოადგენს ვადაგადაცილებულ მოთხოვნას.⁵ მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა სესხის გადახდაზე, ვინაიდან პროექტის შედეგად მიღებული აქტივი მთავრობის განკარგულებით⁶ გადაეცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.⁷ შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აღარ არის აქტივის განმკარგავი.

აღსანიშნავია, რომ აქტივის გადაცემის მომენტში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ არ გადაეცა მის შექმნასთან დაკავშირებული სასესხო ვალდებულებები, მაშინ როდესაც, აღნიშნული აქტივის გამოყენებით ის იღებს ეკონომიკურ სარგებელსა და მომსახურების პოტენციალს.

ვალდებულების ნაწილის „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გადაკისრების პროცესი დასრულდა 2020 წლის 28 მაისის სამმხრივი მემორანდუმის⁸ და სასესხო ხელშეკრულების⁹ საფუძველზე. თუმცა, სესხის თანხა, ნაცვლად 4,057,006 ლარისა განისაზღვრა 2,143,360 ლარით,¹⁰ რაც წარმოადგენს ვადაგადაცილებული სასესხო მოთხოვნის ძირს. დარჩენილი საპროცენტო თანხა, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,170,846 ლარს, ისევ რჩება მუნიციპალური განვითარების ფონდის მოკლევადიანი ფინანსური აქტივების მუხლში. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით,¹¹ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტს ეპატია სესხზე დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო.

შესაბამისად, 2,170,846 ლარი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

საკითხი 1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლში აღრიცხული აქვს გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები 668,336,265 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოთხოვნა სასესხო და ქვესასესხო ხელშეკრულებებზე დაყრდნობით გადანაწილებულია

² „მუნიციპალური მომსახურების განვითარება“ (MSDP-ADB).

³ საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული პროექტის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულებები.

⁴ 2,143,360 ლარი – სესხის ძირი და 2,170,846 ლარი – დარიცხული პროცენტი.

⁵ მოთხოვნა წარმოშობილია 2010 წელს.

⁶ ფონდმა ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული მთავრობის განკარგულება.

⁷ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის 100% წილის მმართველი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

⁸ 2020 წლის 28 მაისის გაფორმებული მემორანდუმი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის.

⁹ სასესხო ხელშეკრულება N-MDF/GWP-02.

¹⁰ სამწლიანი დაფარვის ვადით.

¹¹ სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2016 წლის 6 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი N86, საკითხი N5.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიებზე შესაბამისად, 8,884,314 ლარის და 659,451,951 ლარის ოდენობით.

აპარატის ანგარიშგებაში ასახული სესხები 2010-2011 წლებიდან გენერირდება „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში და წარმოადგენს დონორების მიერ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილ თანხებს.¹²

აღნიშნული პროექტების განმახორციელებლები არიან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომლებიც სასესხო თანხებს იყენებენ კონტრაქტორებთან ანგარიშსწორებისთვის.

დონორი ორგანიზაცია პირდაპირი გადახდის წესით¹³ ანაზღაურებს შესრულებული სამუშაოების მიხედვით გათვალისწინებულ თანხას, რაც ირიცხება ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახაზინო კოდეხის გავლით. შესაბამისად, სახაზინო მონაცემებზე დაყრდნობით, სამინისტროს აპარატი ჩარიცხულ თანხებს აღიარებს, როგორც „გრძელვადიან საბიუჯეტო სესხებს“ განმახორციელებელი კომპანიების¹⁴ მიმართ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ვალდებულებას აღიარებენ არა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, არამედ ფინანსთა სამინისტროსა და დონორი ორგანიზაციების მიმართ.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რამდენად აკმაყოფილებს გრძელვადიან საბიუჯეტო სესხებში აღრიცხული 668,336,265 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ანგარიშზე „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 278,091,026 ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“ განხორციელებულ შენატანებს.¹⁵

აღნიშნული შენატანები ძირითადად განხორციელებულია სესხების გადასახდელად, ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად და ამავე პროექტების ფარგლებში ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფარად.

2019 წლამდე, ყველა შენატანი აკუმულირდებოდა „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში. 2019 წლიდან სამინისტროს აპარატმა შეცვალა მიდგომა და ფულადი შენატანები კლასიფიცირებულია „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ ნაცვლად „სხვა ხარჯების“ მუხლში.

¹² საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პროექტის განმახორციელებელ სახელმწიფო კომპანიებს შორის გაფორმებული რატიფიცირებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

¹³ თანხის ანაზღაურება ხდება დონორის მიერ პირდაპირ კონტრაქტორის ანგარიშზე.

¹⁴ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

¹⁵ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე.

ცხრილი N 3. შენატანების შესახებ დეტალური ინფორმაცია :

შენატანის ტიპი	„აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით გასული თანხები (2019 წლამდე)	„სხვა ხარჯების“ მუხლით გასული თანხები (2019 წლიდან)
თანადაფინანსების თანხები	85,869,000	33,558,000
სესხის გადასახდელი თანხა	32,719,000	-
პროექტის განსახორციელებელი თანხა	148,731,000	29,400,000
სხვა ხარჯი	10,772,000	-
სულ:	278,091,000	62,958,000

ზემოხსენებული ცვლილება აღრიცხვის ინსტრუქციის მე-13 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ორგანიზაციის სააღრიცხვო პრაქტიკის ცვლილებას და მოითხოვს ახალი სააღრიცხვო პრაქტიკის რეტროსპექტულად გამოყენებას შესაძარისი ინფორმაციის მიმართ.¹⁶

კერძოდ, თუ სამინისტრო 2019 წლიდან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“ განხორციელებულ ყველა სახის შენატანს აღრიცხავს მიმდინარე პერიოდის ხარჯებში, მნიშვნელოვანია 2019 წლამდე ანალოგიური დანიშნულებით გაზრდილი კაპიტალის მიმართ გამოიყენოს იგივე მიდგომა, შეაფასოს „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით გაზრდილი მოთხოვნის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შესაძლებელი შემოძინების ალბათობა და შესაბამისად დააკორექტიროს ფინანსური ანგარიშების ეს მუხლი. აღნიშნული მიდგომის გამოყენებით, შესაძლებელია 2019 წლამდე „აქციების და სხვა კაპიტალის“ მუხლით გასული თანხების ნაწილი დაკლასიფიცირდეს როგორც ხარჯები და არა როგორც ინვესტიცია.

გარდა ამისა, აპარატი არ აღრიცხავს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“ განხორციელებულ ქონებრივ შენატანებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან გადმოცემულ ქონებებს¹⁷ და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენენ 192,045,990 ლარს.

ამდენად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „აქციების და სხვა კაპიტალის“ მუხლში ასახული 278,091,026 ლარის ინვესტიცია ან მისი ნაწილი, შესაძლებელია აკმაყოფილებდეს არა აქტივად, არამედ ხარჯად აღიარების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, „აქციების და სხვა კაპიტალის“ მუხლი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულია 192,045,990 ლარით.

საკითხი 1.3 ძირითადი აქტივები

საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების მუხლში 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს შესაბამისად, 894,828,059 ლარის და 1,297,832,158 ლარის აქტივები.

აღნიშნულ მუხლზე აკუმულირებული აქტივები წარმოადგენენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში

¹⁶ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 13, პუნქტი 7.

¹⁷ ქონების გადაცემის საფუძველია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებები.

შექმნილ ისეთ ინფრასტრუქტურულ ძირითად საშუალებებს როგორცაა გზები, ხიდები, გვირაბები.

აქტივების შექმნის პროცესში, დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში ფინანსური მენეჯერის ფუნქციას ასრულებს სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი, კერძოდ, ცენტრი აღრიცხავს დონორებისგან ჩარიცხულ ფულად სახსრებს და მიღებული თანხით უზრუნველყოფს მშენებელ კომპანიებთან ანგარიშსწორებას. ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს პროექტების ფარგლებში გადახდილ თანხებს, საკასო (ფაქტობრივი) შესრულების მოცულობით, ცენტრი გადასცემს გზების დეპარტამენტს, როგორც ფინანსურ აქტივს. რომელიც თავის მხრივ, აქტივს უცვლის კლასიფიკაციას და აღრიცხავს დაუმთავრებელი აქტივების მუხლში. პროექტების საბოლოო მიღება-ჩაბარების წარმოდგენის შემდეგ დაუმთავრებელი აქტივის მუხლიდან შესაბამისი თანხები გადადის დასრულებული ძირითადი საშუალებების ანგარიშზე.

აღსანიშნავია, რომ გზების დეპარტამენტი არ აწარმოებს ზემოაღნიშნულ მუხლში შემავალი გზების, ხიდებისა და გვირაბების რეესტრს. ევრაზიის ცენტრისგან მიღებული საკასო შესრულების მოცულობა საბუღალტრო პროგრამაში გატარებულია ჯამურად. შესაბამისად, გართულებულია¹⁸ ანგარიშზე აკუმულირებული თანხების პროექტების მიხედვით იდენტიფიცირება, რამაც შესაძლებელია შეაფერხოს დეპარტამენტის მხრიდან მათზე კონტროლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, რთულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ასახული თანხების შესაბამისი დოკუმენტების მოძიება. შესაბამისად, ვერ გამოთქვამთ მოსაზრებას აღნიშნული მუხლის სისწორეზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დეპარტამენტის „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხულია 2,496,000 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი 800 ცალი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა (თანმდევი მოწყობილობებით), რომლებიც 2018 წელს იქნა შეძენილი შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადასაცემად. გადაცემა დღემდე არ განხორციელებულა, თუმცა კამერები დასაწყობებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საწყობში და საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ იყენებს და ვერ აკონტროლებს მათ. შესაბამისად, აღნიშნული ძირითადი საშუალებები ვერ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.¹⁹

მუნიციპალური განვითარების ფონდი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი აქტივი²⁰ 1,647,322 ლარის ღირებულებით.

ნინოწმინდაში, სოფელ ეშტიაში მიმავალი გზის რეაბილიტაცია დასრულდა 2019 წლის ბოლოს. მშენებელთან მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2019 წლის 2 დეკემბერს და მუნიციპალიტეტთან სასესიო ხელშეკრულება ორმხრივად ხელმოწერილია 2019 წლის 18 დეკემბერს. მიუხედავად

¹⁸ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ საინვესტიციო ცენტრი ბუღალტრულ აღრიცხვას არ აწარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

¹⁹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 3, „გ“.

²⁰ საავტომობილო გზა.

აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს დასრულებული აქტივი გადაეცა 2020 წლის 7 ივლისს.

აქტივის დაგვიანებით გადაცემის შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 1,647,322 ლარით.

ამდენად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივები“ გაზრდილია 4,143,332 ლარით, ხოლო 1,297,832,158 ლარის აქტივის ნაშთზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები.

საკითხი 1.4 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ, რომელთა სავარაუდო თანხა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს დაახლოებით 16,524,754 ლარს. აქედან, 7,152,257 ლარის შემთხვევაში დეპარტამენტი არის მოსარჩელე, ხოლო 9,372,497 ლარის შემთხვევაში – მოპასუხე.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის²¹ პრინციპიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული დავების შესახებ ინფორმაცია ასახული იყოს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ შეფასებები არ კეთდება აღნიშნული საკითხი გამჟღავნებული უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

საკითხი 1.5 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯი შეადგენს 192,074,649 ლარს. ცვეთის ხარჯი ორგანიზაციამ გაიანგარიშა ერთ-ერთი შიდა სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ბაზით. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, აუდიტის ჯგუფმა გადათვალა ცვეთის ხარჯი და გამოვლინდა, რომ დეპარტამენტს ცვეთის ხარჯი აღრიცხული ჰქონდა 3,532,059 ლარით ზედმეტი ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივები“ შემცირებულია 3,532,059 ლარით და „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი გაზრდილია 3,532,059 ლარით.

საკითხი 1.6 გრანტები-ხარჯები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი დონორისგან მიღებული ფულადი სახსრებით ქმნის დაუმთავრებელ ძირითად აქტივს ბენეფიციარებისთვის. 2019 წელს ზუგდიდის²² მუნიციპალიტეტისთვის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, გრანტის სახით გადაცემულია 11,508,422 ლარის ძირითადი საშუალება.

ხელშეკრულების თანახმად, აქტივის ღირებულების 20%-ს ფარავს მუნიციპალიტეტი, ხოლო 50%-ს სესხის და 30%-ს კაპიტალური გრანტის სახით გადასცემს ფონდი. ზემოხსენებულ შემთხვევაში, გრანტის ხარჯი გაზრდილია თანამონაწილეობის და სესხის თანხებით, რაც შეადგენს შესაბამისად, 2,301,684 და 5,754,211 ლარს.

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის „გრანტის ხარჯის“ მუხლით 2019 წელს გადაცემულია აქტივი²³ 4,772,192 ლარის ღირებულებით, საიდანაც 715,828 ლარი

²¹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 25; მუხლი 185; მუხლი 17, პუნქტი „დ“.

²² ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.

²³ ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორული თეატრის რეაბილიტაცია.

წარმოადგენს თანამონაწილეობის თანხას და არ უნდა იყოს აღიარებული ხარჯად.

ფონდს 2019 წლის „გრანტის ხარჯში“ აღიარებული აქვს ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული აქტივი²⁴ 1,705,923 ლარის ოდენობით. აქტივის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2020 წლის 23 იანვარს. შესაბამისად, აღნიშნული თანხა არ აკმაყოფილებს 2019 წელს გრანტის ხარჯად აღიარების კრიტერიუმს.

შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების“ მუხლი გაზრდილია 10,477,646 ლარით.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

²⁴ მოწამეთის მონასტერთან კულტურული მემკვიდრეობის და ტურისტული ზონების მოწყობა.

2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

საკითხი 2.1 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში 2018 წლის ფინანსური აუდიტის საფუძველზე გამოვლინდა 103,236,067 ლარის აქტივები, რომლებიც წარმოშობილია 2006-2017 წლებში. აღნიშნული აქტივები შედგება საპროექტო სამუშაოების, დაუმთავრებელი მშენებლობების, საკონსულტაციო მომსახურების და სხვა აქტივებისგან. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ აქტივებზე 2018 წელს არ განხორციელებულა კაპიტალური დანახარჯები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შექმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს და დაადგინოს დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა.

დეპარტამენტის განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისია მუშაობს ინტენსიურად, თუმცა COVID 19-ის პანდემიიდან გამომდინარე, ინვენტარიზაციის ვადა გაგრძელდა 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

აუდიტის ანგარიშის თარიღისთვის 103,236,067 ლარის აქტივებიდან, დაახლოებით 15 მლნ-ის აქტივები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, შესწავლილია და დამატებულია შესაბამისი გზების ღირებულებას.

3. სხვა გარემოებები

საკითხი 3.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

საკითხი 3.2 აღრიცხვა-ანგარიშების ხარვეზები

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში 2019 წელს აღრიცხა სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2018 წელს გადმოცემული 50,553,616 ლარის ღირებულების ერთ-ერთ საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მოდერნიზაციის დასრულებული სამუშაოები.²⁵ აღნიშნული აქტივი ექსპლუატაციაში შესულია 2017 წელს.²⁶ 2013 წლიდან, ფონდი აქტივის შექმნის პროცესში შესრულებული სამუშაოების თანხას აღრიცხავდა არა როგორც ძირითად საშუალებას, არამედ როგორც ხარჯს. შესაბამისად, გზის მშენებლობის დასრულებისას ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობდა დეპარტამენტისთვის გადასაცემი აქტივი შესაბამისი ღირებულებით. არასწორმა აღრიცხვებამ გამოიწვია დასრულებული აქტივის დაგვიანებით გადაცემა გზების დეპარტამენტისთვის.

აღნიშნულმა ფაქტმა გავლენა მოხადინა 2019 წლის ცვეთის ხარჯზეც, რის ეფექტსაც მოიცავს 1.5 საკითხში წარმოდგენილი ცვეთის ხარჯის ცდომილება.

სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ მენეჯერს, რომელიც დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე შესრულებული სამუშაოების შესაბამისად გადარიცხავს თანხებს და ინფორმაციას ელექტრონული ფაილის სახით გადასცემს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. აღსანიშნავია, რომ მონაცემები საკასო (ფაქტობრივი) შესრულებით პირდაპირ გადადის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, როგორც ერთეულების,²⁷ ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაძლებელია შეიცავდეს არსებით უზუსტობებს.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მაკონტროლებელი ერთეულის ყველა კონტროლირებად ერთეულს,²⁸ რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.²⁹

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:

²⁵ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მესამე მონაკვეთი: 3კ105+00-3კ174+00.

²⁶ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 25 დეკემბრის N64-05 ბრძანებით თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის მესამე მონაკვეთის (3კ10+500-3კ17+400-მდე) ფონიჭალა-რუსთავი) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

²⁷ საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

²⁸ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

²⁹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 4; მუხლი 41, პუნქტი 32 „ა“ და „ბ“.

ა) მნიშვნელოვანი კონტროლირებული ერთეულების ჩამონათვალი;

ბ) ისეთი კონტროლირებული ერთეულების კრებსითი ფინანსური ინფორმაცია, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით, რომლებიც არ არის კონსოლიდირებული.

აღრიცხვა-ანგარიშების ხარვეზებიდან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილად არ ასახავს ანგარიშის მომხმარებლებისათვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას.

საკითხი 3.3 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია მუნიციპალიტეტების მიმართ არსებული 541,508 ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც ძირითადად წარმოშობილია 2011-2013 წლებში და 2016 წლიდან მათზე ბრუნვა არ ფიქსირდება.

აღნიშნული ნაშთი არის მუნიციპალიტეტების მხრიდან პროექტების განსახორციელებლად ჩარიცხული თანამონაწილეობის თანხები, რომლებიც წარმოშობილია სავარაუდო სატენდერო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობით.

სხვაობა გადახდილ და გადასახდელ თანადაფინანსების თანხებს შორის გენერირდება ფონდის ვალდებულებებში და ექვემდებარება შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის დაბრუნებას.

საკითხი 3.4 ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები

საავტომობილო გზების დეპარტამენტს კრედიტორული დავალიანების მუხლში აღრიცხული აქვს 5,980,954 ლარის ისეთი ვადაგადაცილებული ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია 2004-2015 წლებში და მათზე 2019 წელს ბრუნვა არ განხორციელებულა.

აღნიშნული დავალიანებები ძირითადად შედგება სამშენებლო პროექტების განხორციელებისას ხარისხის უზრუნველსაყოფად კონტრაქტორებისთვის დაკავებული თანხებისგან.³⁰ წარმოშობის თარიღის გათვალისწინებით, დავალიანებების დიდი ნაწილი ხანდაზმულია და შესაძლოა კონტრაქტორებს აღარ გააჩნდეთ შესაბამისი თანხების მოთხოვნის უფლება.

³⁰ ხარისხის უზრუნველსაყოფად დაკავებული საგარანტიო თანხები 2.5% და 5%.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გააძლავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან დაპირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


აუდიტორები

შორენა თირქია
წამყვანი აუდიტორი

რაინ ყუფუნია
წამყვანი აუდიტორი

თათია ცისკარაული
აუდიტორი

ხელმოწერა




მარიამ ღირსიაშვილი
აუდიტორი

ანა ბურდიაშვილი
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

მაცო ხუცურაული
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ლიზი ცივაძე
აუდიტორ-ასისტენტი

სარდიონ მოსეშვილი
აუდიტორ-ასისტენტი




**ფინანსური
ანგარიშგების
ფორმები და ახსნა-
განმარტებითი
შენიშვნები**

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	478,380,326	333,313,063
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	47,729,928	37,085,156
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,065,596,393	792,289,004
სხვა მატერიალური მარაგები	5,762,806	5,765,125
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,597,469,453	1,168,452,348
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1,005,620,055	921,086,314
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	221,380	158,158
ძირითადი აქტივები	5,768,609,987	4,612,518,400
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	225,982,554	193,094,166
საინვესტიციო ქონება	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	7,000,433,976	5,726,857,039
ბალანსი	8,597,903,429	6,895,309,386
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	344,501,631	197,395,069
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	61,971,713	18,582,754
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	406,473,344	215,977,823
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	149,275,065	114,001,928
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	149,275,065	114,001,928
სულ ვალდებულებები	555,748,409	329,979,751
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	7,877,954,930	6,406,877,915
გაუნაწილებელი მოგება	164,200,090	158,451,720
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	8,042,155,020	6,565,329,635
ბალანსი	8,597,903,429	6,895,309,386

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკურ ი საქმიანობა	სულ	2018 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	2,121,193,243	-	2,121,193,243	1,668,777,209
შემოსავლები	2,861,964.4	24,148,176	27,010,140.4	40,432,397
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	24,690.4	5,033,661	5,058,351.4	18,759,357
სხვა შემოსავლები	2,837,274	19,114,515	21,951,789	21,673,040
შემოსავლები საკუთრებიდან	-	18,896,643	18,896,643	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,260,943	50,145	2,311,088	3,019,310
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	576,331	-	576,331	1,469,927
დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები	-	167,727	167,727	17,183,803
სულ	2,124,055,207.4	24,148,176	2,148,203,383.4	1,709,209,606
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	9,366,922	2,602,035	11,968,957	11,860,594
საქონელი და მომსახურება	109,584,548	2,123,029	111,707,577	123,024,510
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	192,631,463	(1,486,091)	191,145,372	102,983,239
პროცენტი	-	2,119,829	2,119,829	1,993,467
სუბსიდიები	74,334,553	-	74,334,553	44,174,833
გრანტები	211,632,570.4	10,821,263	222,453,833.4	291,610,921
სოციალური უზრუნველყოფა	266,459	185,523	451,982	461,864
სხვა ხარჯები	68,942,423	4,393,633	73,336,056	2,936,454
სულ:	666,758,938.4	20,759,221	687,518,159.4	579,045,882
ფინანსური შედეგი	1,457,296,269	3,388,955	1,460,685,224	1,130,163,756

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	993,430,587	5,748,370	477,646,427	1,476,825,384
კორექტირებები:	327,955,020	218,610	23,015,523	351,189,153
ცვეთა (+)	192,631,463	(1,486,091)	-	191,145,372
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	116,948,134	1,344,091	23,015,523	141,307,748
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	10,514	(8,195)	-	2,319
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(52,487)	(10,735)	-	(63,222)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	18,288,765	(1,793,631)	-	16,495,134
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	128,631	2,173,171	-	2,301,802
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,321,385,607	5,966,980	500,661,950	1,828,014,537
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	1,310,085,205	2,508,450	308,310,163	1,620,903,818
ძირითადი აქტივები	1,275,732,102	2,508,450	308,310,163	1,586,550,715
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	34,353,103	-	-	34,353,103
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(1,310,085,205)	(2,508,450)	(308,310,163)	(1,620,903,818)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(8,915,269)	(7,882,962)	(192,351,787)	(209,150,018)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	141,648,802	5,457,760	-	147,106,562
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	132,733,533	(2,425,202)	(192,351,787)	(62,043,456)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	144,033,935	1,033,328	-	145,067,263
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	195,656,920	137,656,143	-	333,313,063
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	339,690,855	138,689,471	-	478,380,326
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	(6,687,542)	(814,289)	-	(7,501,831)
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
საწყისი ნაშთი	6,406,877,915	158,451,720	6,565,329,635
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	6,406,877,915	158,451,720	6,565,329,635
არასაოპერაციო შემოსავლები	88,200,493	2,979,814	91,180,307
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	7,584,759	1,256,715	8,841,474
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	80,615,734	1,723,099	82,338,833
არასაოპერაციო ხარჯები	27,805,421	373,651	28,179,072
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	2,405,937	334,708	2,740,645
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	25,399,484	38,943	25,438,427
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	46,614,328	231,994	46,846,322
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	1,457,296,269	3,388,955	1,460,685,224
ნაშთი წლის ბოლოს	7,877,954,928	164,214,844	8,042,169,772

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებ ული გეგმით	დაზუსტებ ული გეგმით	გადახრა % დაზუსტებ ულსა და დამტკიცებ ულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო ხარჯი)	გადახრა % საკასო (ფაქტობრივი) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმას შორის	დარიცხუ ლი	გადახრა დარიცხულ და საკასო(ფაქტ ობრივი) ხარჯს შორის
ხარჯები	357,800,000	306,423,150	86%	301,530,821	98%	666,758,940	-
მათ შორის:	10,865,000	9,374,400	86%	9,366,922	100%	9,366,922	-
შრომის ანაზღაურება	10,865,000	9,374,400	86%	9,366,922	100%	9,366,922	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,476,300,000	1,536,131,950	104%	1,618,395,369	105%	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	165,900,000	171,405,000	103%	201,267,056	117%	-	-
ვალდებულებებ ის კლება	-	-	-	-	-	-	-

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) 2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრისა და სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს წლიური ფინანსური ანგარიშგებებისგან. სამინისტროს პრიორიტეტებს განეკუთვნება: რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს გამოყენებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

- „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება;
- „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება.

სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსი) - ფორმა N1;
- ბ) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას - ფორმა N2;
- გ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას - ფორმა N3;
- დ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას - ფორმა N4;
- ე) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას - ფორმა N5;
- ვ) ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს.

ამასთან, დამატებით დანართების სახით მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ - დანართი N1;
- ბ) ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - დანართი N2;
- გ) ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ - დანართი N3;

დ) ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ - დანართი N4;

ე) ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - დანართი N5;

ვ) ორგანიზაციის ანგარიში არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - დანართი N6;

ზ) ინფორმაცია მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ - დანართი N7;

თ) ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - დანართი N8;

ი) ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებათა შესახებ - დანართი N9;

კ) ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანებათა შესახებ - დანართი N10;

ლ) ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - დანართი N11;

მ) ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - დანართი N12;

ნ) ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ - დანართი N13.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საშიშროების გამო, თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმდინარე წლის 19 მარტის N18/34550 წერილისა გადავადდა წლიური ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და მხარჯავი დაწესებულებები ვალდებულნი არიან, წლიური ფინანსური ანგარიშგება დანართ ფორმებთან ერთად სახაზინო სამსახურში წარმოადგინონ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 აპრილისა. აღნიშნულთან დაკავშირებით ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა, წლის დასრულებიდან 4 თვეში (არაუგვიანეს ოცდაათი აპრილისა). ნაერთი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია მთლიანი კალენდარული წელი, 2019 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში (ლარი), რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები, გადაიანგარიშება ანგარიშგების თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ხოლო ოპერაციები საანგარიშო პერიოდში, აღრიცხულია ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. საანგარიშო წლის ბოლოს, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება წმინდა ღირებულების მოგება/ზარალის ანგარიშებზე.

სამინისტროს დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროკავშირი, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები) და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (არასაბიუჯეტო) შემოსავლები.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი):

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად.

აქტივები:

ფულადი სახსრები, მათ შორის: სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თანხები და ფულადი სახსრები სხვა საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობა ასახულია (საბიუჯეტო სახსრებით წარმოშობის შემთხვევაში) - „წმინდა ღირებულების“ ანგარიშზე, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით წარმოშობის შემთხვევაში - „მოგება-ზარალის“ ანგარიშზე. ფულად სახსრებში ასახულია, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტები, რომლებიც აღირიცხება, როგორც ფინანსურ აქტივებად, ასევე ვალდებულებებად. აღნიშნული დეპოზიტები არ განიხილება როგორც შემოსავლი.

სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ანგარიში:

47,729,928 ლარით ასახულია სამინისტროს აპარატის მიერ ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოკლევადიანი ფინანსური აქტივები, რომელიც მოიცავს ფონდის მიერ სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტის თანხებს, გაცემული სესხებიდან და საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტებიდან მისაღები ჯარიმის თანხებს, სხვა საგადასახადო აქტივებსა და გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნების მიმდინარე ნაწილს. აღნიშნულ ანგარიშზე, ასევე ასახულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოკლევადიანი ფინანსური აქტივები, რაც მოიცავს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და ფულადი დოკუმენტების (საწვავის ტალონების) დანაკლისს და კონტრაქტორისათვის, სამშენებლო სამუშაოების ხარჯვით კომპონენტებზე ფასების ცვლილების კორექტირების შედეგად, ზედმეტად გადარიცხული თანხების მოთხოვნას.

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიში:

1,065,596,392 ლარით ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის და სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ კონტრაქტორ ორგანიზაციებზე ხელშეკრულების საფუძველზე ავანსად გადახდილი თანხები საქონლის, მომსახურებისა და აქტივების მოწოდებისათვის, არაფინანსური აქტივის დანაკლისის საფუძველზე წარმოქმნილი მოთხოვნები, ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები

და მათზე რიცხული სხვა დებიტორული დავალიანებები, მომუშავეთა მიმართ წარმოქმნილი მოთხოვნები და სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები. ამავე ანგარიშზე ასახულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გატაცებული ავტომანქანის ღირებულება და მოთხოვნები მომუშავეთა მიმართ.

აღნიშნული პოზიცია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია - 273,307,388 ლარით, რაც გამოწვეულია საქონლისა და მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებული წინასწარი გადახდებით.

გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ანგარიში:

1,005,620,055 ლარით ასახულია სამინისტროს გავლით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გაცემული სესხი, „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამის (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)“ - ქვეპროგრამის ფარგლებში. ასევე, ასახულია სამინისტროს მიერ კაპიტალის გაზრდის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაზე“ და შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაზე“ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ჩარიცხული თანხები და გადაცემული აქტივების ღირებულება. ზემოხსენებულ ანგარიშში ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაცემული გრძელვადიანი სესხები.

სამინისტროს ძირითადი საშუალებები შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან. სამინისტროს აპარატში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში და სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში ცვეთის დარიცხვა მიმდინარეობს „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივებისა და არაწარმოებული აქტივების ანგარიში:

2018 წელთან შედარებით შეიწინააღმდეგა ზრდა ძირითადი აქტივების 1,156,091,587 ლარით, არაწარმოებული აქტივების - 32,888,388 ლარით, რომელიც გამოწვეულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა) შესრულებული სამუშაოებიდან და მიწის ნაკვეთების გამოსყიდვიდან გამომდინარე. ასევე ზრდა გამოწვეულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში იმის გამო, რომ 01.01.2018 წლამდე პერიოდში კაპიტალური პროექტების ფარგლებში გაწეული ხარჯების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლებიდან, რის გამოც მათი ღირებულების დაგროვება/აღრიცხვა N2141 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე არ ხდებოდა. ამასთან, 2019 წელს ფონდის მიერ ბენეფიციარებს გადაეცა

რამდენიმე დასრულებული ობიექტი, რომლებზეც მუშაობა დაწყებული იყო 2018 წლამდე. შესაბამისად, ამ ობიექტებზე 2018 წლამდე შესრულებული სამუშაო შესაბამის პერიოდში აღიარებული იყო ხარჯებში, ხოლო 01.01.2018 თარიღის შემდგომ პერიოდში შესრულებული სამუშაოები - დაგროვდა 2141 ანგარიშზე, როგორც დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი. ამასთან, ფონდის მიერ ბენეფიციარს ობიექტი გადაეცა სრული ღირებულებით, რაც მოიცავდა 01.01.2018-მდე პერიოდში და 01.01.2018 პერიოდის შემდგომ შესრულებული სამუშაოების (პროექტირება, მშენებლობა, ზედამხედველობა და სხვა კაპიტალიზებადი დანახარჯები) მთლიან ღირებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ ობიექტებზე, რომლებიც ბენეფიციარს გადაეცა 2019 წელს, მაგრამ მათზე დანახარჯები გაწეული იყო 2018 წლამდე პერიოდშიც, საჭირო გახდა 2018 წლამდე პერიოდში ხარჯებში აღრიცხული კაპიტალიზებადი დანახარჯების უკუგატარება, რათა მომხდარიყო 2141 საბალანსო ანგარიშზე ობიექტის სრული ღირებულების აღდგენა, რომელიც მოგვიანებით - ბენეფიციარს გადაეცა სრული ღირებულებით. ამდენად, ამ მიზნით 2018 წლამდე პერიოდში აღიარებული ხარჯების უკუგატარებით მიმდინარე პერიოდში მოხდა დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების გაზრდა.

ვალდებულებები:

მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები 2018 წელთან შედარებით გაზრდილია 190,495,521 ლარით, რაც გამოწვეულია სავალუტო ანგარიშებზე ნაშთების გაზრდით.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები:

2018 წელთან შედარებით გაიზარდა 35,273,137 ლარით, რაც გამოწვეულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის“ - ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებით, ასევე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სხვადასხვა კონტრაქტორების მიმართ, სამუშაოს შესრულებიდან ხარისხის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაკავებული თანხებით (დაკავებული - 5%, რომლის 2.5% ანაზღაურება ხდება სამუშაოების შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, ხოლო მეორე 2.5%-ის ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგ).

წმინდა ღირებულება:

წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს (მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება) შორის სხვაობით.

გაუნაწილებელი მოგების ანგარიში: სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გასულ წლებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში:

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 2,121,193,245 ლარი. შემოსავლებმა (გრანტი, სხვა შემოსავლები ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები, საქონლისა და მომსახურებით მიღებული შემოსავალი, სანქციებითა და ჯარიმებით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები) შეადგინა - 2,861,964 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა - 24,148,176 ლარი.

2019 წელს ბიუჯეტის ნაწილში ხარჯებმა შეადგინა - 666,758,938 ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან - 20,759,221 ლარი.

სულ 2019 წელს შემოსავალმა შეადგინა - 27,010,140 ლარი, ხოლო ხარჯმა - 687,518,159 ლარი, რომელიც ასახულია დანართ N2-ში.

ფინანსური შედეგების ანგარიშის შემოსავლის ნაწილში არაგაცვლითი ოპერაციებით გრანტად მიღებამ შეადგინა 5,058,351 ლარი, ხოლო ხარჯვით ნაწილში, გრანტად გასვლამ შეადგინა 222,453,833 ლარი. დანართ N5-ში გრანტად მიღებამ შეადგინა (მატერიალური მარაგები - 0.00 ძირითადი აქტივი - 11,235, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი 13,454) 24,689 ლარი. გრანტად გადაცემამ შეადგინა -88,765,346 ლარი (მატერიალური მარაგები - 724,281 ლარი, ძირითადი აქტივი - 87,971,856 ლარი, არაწარმოებული აქტივი - 69,209 ლარი). სხვაობამ დანართ N5-სა და ფორმა N2-ს შორის გრანტად მიღებაში შეადგინა 5,033,661 ლარი, რომელიც არის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტებისგან გრანტად მიღებული ფულადი სახსრები. გრანტად მიღება ასევე ასახულია დანართ N2-ში არასაბიუჯეტო სახსრების პოზიციაში.. გრანტად გასვლაში ფ.2-სა და დანართ 2-ს შორის სხვაობამ შეადგინა 133,688,487 ლარი (222,453,833-88,765,346=133,688,487). აღნიშნულიდან 2,000,000 ლარი არის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გრანტის სახით ბიუჯეტში გადარიცხული სახსრები, 42,950,100 ლარი არის საქართველოს რეგიონული განვითარების მიერ განკარგულების საფუძველზე მზის პანელების შესაძენად და სკოლების რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტებზე გადაცემული ფულადი სახსრები. სხვაობა 88,738,387 ლარი (7,552,872 ლარი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, 81,185,513 ლარი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს) არის ფინანსური აქტივების გრანტად გადაცემა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე. რაც ასახულია დანართ N13-ში.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება:

ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია არაპირდაპირი მეთოდი. ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში აღრიცხულია საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრული მიმდინარე ხარჯები, მათ შორის მატერიალური მარაგებისა (გარდა სტრატეგიული მარაგებისა) და მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების შემენაზე გაწეული ხარჯები. ანგარიშგება დაყოფილია წყაროების მიხედვით და არის სამ-სვეტიანი. შემოსავლებში აღრიცხულია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების (მათ შორის მიზნობრივი გრანტის სახით მიღებული) თანხები. ანგარიშგება შედგენილია წმინდა ღირებულების ანგარიშის შედეგის კორექტირებით.

კორექტირებულია:

1. ცვეთის თანხებით;
2. არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება;
3. მატერიალური მარაგების ზრდით/კლებით;
4. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ზრდით/კლებით;
5. დებიტორული დავალიანების ზრდით/კლებით;
6. კრედიტორული დავალიანების ზრდით/კლებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში:

წმინდა ღირებულება და მოგება-ზარალი:

წმინდა ღირებულებამ და მოგება-ზარალმა შედგინა - 1,476,825,384 ლარი.

არაფინანსურ აქტივებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა - 191,145,372 ლარი.

საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი აქტივების ცვეთამ შეადგინა 192,631,463 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით პოზიციაში ასახული აქტივების ცვეთამ შეადგინა (-1,486,091 ლარი) რაც გამოწვეულია შემდეგით: 2019 წელს სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა მის ბალანსზე აღრიცხულ ძირითად საშუალებებზე ფიზიკური ცვეთის დარიცხვის ნორმების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისას ფონდი ხელმძღვანელობს „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N 439 ბრძანებით გათვალისწინებული ცვეთის ნორმებით. საინვენტარიზაციო სამუშაოების შესაბამისად დაზუსტებული იქნა 21 ერთეული ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვის ნორმა, შეფასებული იქნა აღნიშნული კორექტირების გავლენა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე და მოხდა შესაბამისი მაკორექტირებელი ოპერაციის გატარება მიმდინარე პერიოდში.

აღნიშნული კორექტირების შედეგად 18 ერთეულ ძირითად საშუალებაზე მოხდა წინა პერიოდში დარიცხული ცვეთის შემცირება 10.7 ათასი ლარით, ხოლო ფონდის ადმინისტრაციულ შენობაზე დარიცხული წინა პერიოდის ცვეთა შემცირდა 1.7 მლნ ლარით.

ფონდის ადმინისტრაციულ შენობასთან დაკავშირებით დამატებით აღვნიშნავთ, რომ ის ფონდს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადმოეცა 2008 წელს. აღნიშნული პერიოდიდან მას ერიცხებოდა ფიზიკური ცვეთის ნორმა, წლიური 5%-ის ოდენობით. ამასთან, კომისიამ, მათ შორის - საინჟინრო დასკვნის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მიზანშეწონილია მოხდეს ფონდის ადმინისტრაციული შენობის ფიზიკური ცვეთის დარიცხვის შეფასების ცვლილება და აღნიშნული ობიექტი მიეკუთვნოს „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N 439 ბრძანებით გათვალისწინებულ შიფრი N1000-ით განსაზღვრულ კატეგორიას, რის გამოც მას უნდა დაერიცხოს ფიზიკური ცვეთის ნორმა 1%-ის ოდენობით.

გარდა ამისა, სტანდარტულად - ფონდის ძირითად საშუალებებს დაერიცხათ 2019 წლის კუთვნილი ცვეთის თანხა, რამაც შეადგინა 494.6 ათასი ლარი. თუმცა, წინა პერიოდში დარიცხული ცვეთის თანხის შემცირების ოპერაციების გამო, მთლიანობაში, 2019 წლის ცვეთის სალდირებულმა ოდენობამ შეადგინა - 1.25 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) მიღება-გასვლა:

აღნიშნულ პოზიციაზე ასახულია ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღებასა და უსასყიდლოდ გასვლას შორის სხვაობა (უსასყიდლოდ მიღებაში ასახულია: დანართი N5-დან ძირითადი აქტივის არასაოპერაციო შემოსავლებით მიღებული - 76,973,359 ლარი, გრანტად მიღებული - 11,235 ლარი, სხვა შემოსავლებით მიღებული - 576,010 ლარი. სულ დანართი N5-დან აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ შეადგინა - 77,560,604 ლარი. დანართი N5-დან ძირითადი აქტივის არასაოპერაციო ხარჯით გასვლამ შეადგინა 82,381 ლარი, აქტივების გრანტად გასვლამ შეადგინა 88,041,065 ლარი, სხვა ხარჯებით გასვლამ შეადგინა - 4,738,296 ლარი, საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნით 725,393 ლარი სადაც ასახულია საქართველოს საავტომობილო გზების არაფინანსური აქტივის დაშლის შედეგად მატერიალური მარაგების შექმნა და მარაგებში გადატანა. სულ უსასყიდლოდ გასვლამ შეადგინა - 93,587,135 ლარი.

დანართი N6-ში „არასაოპერაციო შემოსავლების“ ჯამი შეადგენს - 14,206,049 ლარს (11,773,167+2,432,882). აღნიშნული შემოსავლიდან ფორმა N3-ში მონაწილეობს - 2,453,999 ლარი. სხვაობა 11,752,050 არის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების და სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის არასაოპერაციო შემოსავალი, რომელიც ფორმა N3-ის არაფულადი ოპერაციების მიღებაში არ მონაწილეობს, ვინაიდან აღნიშნული თანხა მონაწილეობს დებიტორ-კრედიტორებისა და ფინანსური აქტივების ნაშთების ცვლილებაში.

დანართი N6-ში „არასაოპერაციო ხარჯების“ ჯამი შეადგენს - 26,910,609 ლარს (1,123,779+25,786,830). აღნიშნული თანხიდან, ფორმა N3-ში მონაწილეობს - 23,180,612 ლარი. სხვაობა - 3,729,997 ლარი არის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების და სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის არასაოპერაციო ხარჯი, რომელიც ფორმა N3-ის არაფულადი ოპერაციების გასვლაში არ მონაწილეობს, ვინაიდან აღნიშნული თანხა მონაწილეობს დებიტორ-კრედიტორების და ფინანსური აქტივების ნაშთების ცვლილებაში. ფორმა 3-ის არაფულადი ოპერაციების გასვლის ნაწილში ასევე მონაწილეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე გრანტად გადაცემული ფინანსური აქტივი 88,738,387 ლარის, რომელიც ასახულია დანართ N13-ში, ასევე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრისა გამოუყენებელი და ბიუჯეტში დაბრუნებული ავანსები 40,768,982 ლარით და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სადეპოზიტო თანხების შემცირება - 31,092 ლარით.

არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) მიღება-გასვლა:

შემოსავლის ნაწილში ასევე ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხარჯების რეკლასიფიკაციით მიღებული აქტივების თანხა 19,175,593 ლარით და სესხის პირდაპირ კაპიტალზე კორესპონდენციით დარიცხული თანხა 5,808,264 ლარი.

სულ არაფულადი აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ შეადგინა 104,998,460 ლარი, აქტივების უსასყიდლოდ გასვლამ შეადგინა 246,306,208 ლარი, სხვაობამ არაფულადი ოპერაციების მიღებასა და გასვლას შორის შეადგინა 141,307,748 ლარი რაც ასახულია დადებითი ნიშნით. ამასთან, აღნიშნულ პოზიციაში შიდა ბრუნვები არ არის გათვალისწინებული.

მატერიალური მარაგები:

საანგარიშო პერიოდში მატერიალური მარაგები, 2018 წელთან შედარებით, შემცირდა - 2,319 ლარით. ძირითადად ეს გამოწვეულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დახარჯული მეორადი მასალების გამოყენებით. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები გასულ წელთან შედარებით გაიზარდა - 63,222 ლარით.

დებიტორული დავალიანება:

2019 წელს დებიტორული დავალიანება, 2018 წელთან შედარებით, შემცირდა - 16,495,133 ლარით. აღნიშნული შემცირება ასახულია დადებითი სალდოთი. დებიტორებთან მიმართებაში თანხა მიღებულია 2019 წლის დანართი N1-ის დებიტორების შემდეგი ანგარიშებით: 1300 „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები“ და 1400 „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“ სადაც მონაწილეობას არ ღებულობს 1322 „მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ და 1432 „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ანგარიშები.

კრედიტორული დავალიანება:

2019 წლის კრედიტორული დავალიანება, 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია - 2,301,802 ლარით. აღნიშნული დავალიანება ძირითადად არის სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაკავებული 5% , რომლის პირველი 2,5 % ანაზღაურდება სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე 2,5 % გაიცემა ხელშეკრულების პირობების საბოლოო შესრულების შემდეგ. კრედიტორების ცვლილებაში მონაწილეობს დანართი N1-დან შემდეგი ანგარიშები: 3200 „სხვა მოკლევადიანი კრედიტორულ დავალიანებები“ და 3300 „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“. კრედიტორების ზრდა-კლებაში არ მონაწილეობს დანართი 1-დან 3220 „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“, 3311 „გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით“, და 3332 „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხულია გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ ანგარიშებზე ასახული თანხები.

არაფინანსური აქტივების შესყიდვა:

აღნიშნულ პოზიციაში ასახულია 1,620,903,818 ლარი, რომელიც მოიცავს: ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას ძირითადი აქტივების შესაძენად - 1,618,395,368 ლარი, (დანართი N3) და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილ არაფინანსური აქტივების ღირებულებას - 2,508,450 ლარი.

წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა:

აღნიშნულ პოზიციაში ასახული თანხა (-209,150,018), მოიცავს გრძელვადიან ფინანსურ აქტივებსა და გრძელვადიან ფინანსურ მოთხოვნებს, მათ შორის: გრძელვადიან სესხებს. რომელიც ასახულია დანართ N4-ში საბიუჯეტო სახსრების ნაწილში 201,267,056 ლარით, და არასაბიუჯეტო სახსრების ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (საკასო) ოპერაციების ზრა და კლების სხვაობით მიღებული (40,552,744 - 32,639,782 = 7,882,962) 7,882,962 ლარით.

წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა:

აღნიშნულ პოზიციაში ასახული - 147,106,562 ლარი, წარმოიშვა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით არსებული ნაშთებს შორის სხვაობით, საბალანსო ანგარიშზე: 3110 „ვალდებულებები დეპოზიტებით“ და 3131 „მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით“ (დანართი N1).

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N3-ის „საკუთარი სახსრების“ ნაწილში ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით არსებული ნაშთები.

შესაბამისი ნაშთები ასახულია ფორმა N1-ის N1100 და N1200 ფულადი ანგარიშების შესაბამისად და გადანაწილებულია საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ სახსრებად. ამასთან, ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილების (145,129,447 ლარი) და წლის დასაწყისში ფულადი ნაშთის (333,313,063 ლარი) ჯამი გვაძლევს წლის ბოლოს ფულად ნაშთს (478,380,326 ლარი);

„საკუთარი სახსრების“ ნაწილში ფულადი ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარებით შეადგენდა - 137,656,143 ლარს; აღნიშნულ თანხას საანგარიშო პერიოდში დაემატა შემოსავლები - 21,905,720 ლარი (დანართი N2); აღნიშნულ თანხას აკლდება 2019 წელს გაწეული საკასო ხარჯები - 9,327,749 ლარი (დანართი N2); ასევე, აკლდება 2019 წელს არაფინანსური აქტივების შეძენით გამოწვეული საკასო ხარჯი - 2,508,450 ლარი (დანართი N3); აკლდება ფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან გაწეული საკასო ხარჯი - 40,522,744 ლარი (დანართი N4); ემატება წინა პერიოდში გაცემული სესხებიდან, 2019 წელს დაბრუნებული ძირი - 32,639,782 ლარი (ფინანსური აქტივების კლება - დანართი N4); აკლდება ვალდებულებების კლებაში ასახული თანხა - 1,929,930 ლარი (დანართი N4); ასევე, აღნიშნულ თანხას ემატებ საკუთარი სახსრების ხაზინის სავალუტო ანგარიშზე არსებული ფულადი ნაშთის საკურსო სხვაობით გამოწვეული ცვლილება - 776,699 ლარი, რაც ასახულია დანართი N1-ს მთლიან საკურსო სხვაობაში. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები გვაძლევს საკუთარი სახსრების ნაწილში 31.12.2018 მდგომარეობით ფულად ნაშთს - 138,689,471 ლარს.

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში:

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშში თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის მოცულობაზე, მათ შორის: საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგი, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობრივი ცვლილებები, გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი/დანაკლისი, კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი და სხვა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოსავლებით და ხარჯებით დაანგარიშებული ფინანსური შედეგი, ფლობით მიღებულ მოგება-ზარალთან ერთად, აისახება აღნიშნულ ანგარიშში.

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები, ხარჯების გაწევის თაობაზე, დაცულია. მხარჯავი დაწესებულებების მიერ გადახრა, როგორც დაზუსტებულ საგეგმო პარამეტრებზე, ასევე ვალდებულებების მოცულობაზე არ ფიქსირდება. ხოლო, გადახრამ ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის შეადგინა - 365,228,119 ლარი. აღნიშნული გადახრა ძირითადად გამოწვეულია: სამინისტროს აპარატის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე და მუნიციპალიტეტებზე აქტივების უსასყიდლოდ გადაცემით, წინა წლების გაცემული ავანსებიდან შესრულებული სამუშაოებით და ძირითადი კაპიტალის მოხმარებით.

ფინანსური ანგარიშგება, დანართების სახით მოიცავს დამატებით ინფორმაციას:

დანართ N1-ში 1292 „სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში“ ანგარიშზე 119,000,000 ლარით ასახულია მუნიციპალური განვითარების ფონდის სადეპოზიტო ვადიანი ანაზღაურებები კომერციულ ბანკში, 1230 „მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში“ 958 380 ლარით ასახულია ფონდის: დანართ N1-ში საბალანსო ანგარიშებზე N1270 „დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში“ და N1280 „ხაზინის სავალუტო ანგარიში“ ასახულია სავალუტო ანგარიშების ნაშთები.

1511 „გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები“ – 668,336,265 ლარი 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ ასახულია, სამინისტროს გავლით, „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)“ ქვეპროგრამაში, „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში ევროკავშირის (EU) და გერმანიის საინვესტიციო ბანკის (KfW) მიერ და „ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მიერ გაცემული სესხები. 2019 წელს სასესხო ვალდებულებები გაზრდილია 192,351,786 ლარით. ასევე საანგარიშო პერიოდში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ დაფარულია აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) აღებული სასესხო ვალდებულების ძირი თანხა

23,015,524 ლარით. აღნიშნული პოზიციის ზრდაში არ მონაწილეობს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიღებული ფინანსური აქტივის ზრდის კუთხით 8,915,269 ლარი, ვინაიდან ფონდი განიხილება აღნიშნული თანხით დაფინანსებული პროექტების განმახორციელებელ ერთეულად და ხარჯი ასახულია ძირითადი აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად მშენებლობა-რეაბილიტაციაზე.

1512 „გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ მოიცავს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის „გრძელვადიან სესხებს“, სადაც ასახულია გრძელვადიანი მოთხოვნები, რომელიც გაცემულია სესხის (ძირითადი თანხა) სახით - 59,107,064 ლარი.

1520 „აქციები და სხვა კაპიტალი“ ასახულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კაპიტალის გაზრდის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაზე“ გადარიცხული თანხები და გადაცემული ქონება, სულ ჯამში - 27,561,766,726 ლარი. აღნიშნული პოზიცია 2018 წელთან შედარებით შემცირებულია 88,738,385 ლარით. რაც გამოწვეულია იმით რომ, „შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისიდან შეწყდა 2010 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის. აღნიშნულთან დაკავშირებით „შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ მართვის უფლებით გადაცემულია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (81,185,514 ლარი) და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (7,552,871 ლარი) ბალანსზე რიცხული ფინანსური აქტივი ჩამოწერილია ხარჯებში.

ამასთან გაცნობებთ, რომ დანართ N1-ში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშების (1322, 1511, 1512, 1520) ნაშთების ჯამი შეადგენს - 1,039,887,468 ლარს (34,267,413 + 668,336,265 + 59,107,064 + 278,176,726). დანართ N9-ში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივის ჯამი წლების მიხედვით ასახულია 948,109,825 ლარით სხვაობა დანართ N1-სა და დანართ N9-ში ასახული ფინანსური აქტივების ნაშთებს შორის ასახულია დანართი N9-ში „ფინანსური აქტივის კლების“ ნაწილში 91,777,643 ლარით.

დანართ N1-ში ვადაგადაცემული კრედიტორული დავალიანებების ანგარიშზე აღრიცხული იქნა მიმდინარე კრედიტორული დავალიანება (3100+3200), გარდა 3110 საბალანსო ანგარიშზე აღრიცხული დონორების სავალუტო სახაზინო ანგარიშებზე განთავსებული თანხებით წარმოქმნილი სადეპოზიტო ვალდებულებებისა და გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებისა.

დანართ N2-ში წარმოშობილი გადახრები გამოწვეულია გაცემული ავანსებითა და მომწოდებლებისა და კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების და მოწოდებული აქტვების ღირებულებებს შორის სხვაობებით. ასევე დანართ

N2-ში საკუთარი სახსრებით შემოსავალში საკასო შესრულებით ასახულ თანხასა (21,905,720 ლარი) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახასივნო სამსახურიდან მიღებულ საკუთარი სახსრების შესახებ ინფორმაციაში (21,994,890 ლარი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახრა - 89,170 ლარით გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: -28,640 ლარი - გორის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს დაუბრუნდა თანხა სადეპოზიტო ანგარიშიდან, რაც ასახულია მინუს შემოსავალი - გრანტის მუხლში, ხოლო ხაზინას ასახული არ აქვს, 41,981 ლარი - სხვაობა წარმოადგენს ხაზინაში საკუთარი სახსრების სავალუტო ანგარიშზე თიბისი და ვითიბი ბანკების მიერ ვალუტაში გადახდილ სესხის პროცენტს, რისი კონვერტაცია და ლარის ანგარიშზე გადატანა არ მომხდარა, 749 ლარი - მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია სესხის პროცენტის სახით 7006 კოდზე, ნაცვლად 7501 კოდისა. მგფ-მა ფინანსურ ანგარიშგებასი აღრიცხა სწორად, 2,390 ლარი - მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია სესხის პროცენტის სახით 7006 კოდზე. თუმცა, გადახდილია ზედმეტად, რის გამოც მგფ-მა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხა ტრანსფერის სახით, -18, 299 ლარი - სადეპოზიტო ანგარიშიდან გადარიცხული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში, რის გამოც ფონდმა ასახა მინუს შემოსავლად, რაც ხაზინას ასახული არ აქვს, - 87, 350 ლარი - საკუთარი სახსრების ანგარიშზე თანხა გადმოტანილი იქნა სადეპოზიტო ანგარიშიდან. რაც ხაზინამ ასახა 2019 წლის შემოსავლებში, ფონდს ასახული ქონდა საწყის ნაშთში, ხოლო შემოსავალში - წინა წლებში იყო ასახული.

დანართ N4-ში ფინანსური აქტივების კლების ნაწილში არასაბიუჯეტო სახსრებით ასახულია 32,639,782 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციაში ასახულია 31,293,960 ლარი. სხვაობა 1,345,822 ლარით წარმოადგენს ხაზინაში საკუთარი სახსრების სავალუტო ანგარიშზე თიბისი და ვითიბი ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში დაბრუნებულ სესხის ძირს, რისი კონვერტაცია და ლარის ანგარიშზე გადატანა 31.12.2019 წლის მდგომარეობით არ განხორციელებულა, ხოლო სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია.

დანართი N5-ში ასახულია ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.

დანართ N5-ში ასახულია 121,288,394 ლარის ძირითადი აქტივების შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით, არაწარმოებული აქტივების შესყიდვა წინა წლების ავანსების დაფარვით 8,000 ლარი. სულ წინა წლების ავანსების დაფარვით დანართ N5-ში ასახულია შესყიდვა - 121,296,394 ლარით. აღნიშნული მიიღება შემდეგით: 2019 წლის არაფინანსური აქტივის კუთხით დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 1,083,976,104 ლარი, (იხ. დანართი N1 ანგარიში N1432 - 1,056,024,713 ლარით და ანგარიშიდან N1431 - 27,951,391 ლარი), დანართ N1-ში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 767,643,202 ლარი. (იხ. დანართი N1 ანგარიში N1432 - 758,762,739 ლარი და ანგარიშიდან N1431 - 8,880,463 ლარი). წინა წლების ავანსების დაფარვაში მონაწილეობს 1431 ანგარიშზე ასახული ავანსების ნაწილი, რაც გამოწვეულია იმით რომ 2018 წელს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლიდან გაცემული ავანსების რეკლასიფიკაცია მოხდა 2019 წელს და შემცირებული ავანსები აისახა ძირითადი აქტივების შემენაში რაც,

შესაბამისად გავლენას ახდენა წინა წლების ავანსების დაფარვით ძირითადი აქტივების ზრდაზე. წინა წლების დაფარული ავანსებია (იხ.დანართი N1 ანგარიში N1432 – 758,762,739 ლარი - დანართი N9 ავარისანსური აქტივების ზრდის პოზიციაში დარჩენილი წინა წლების ავანსები 615,776,291 ლარი $(758,762,739 - 615,776,291 = 142,986,448)$, და ანგარიში N1431-დან სხვაობა იმ თანხებს შორის რომელიც მონაწილეობს არაფინანსური აქტივების ავანსების დაფარვაში (2018წ.27,951,391 - 2019წ. 8,,880,463=19,070,928)) სულ წინა წლების ავანსების დაფარვამ შეადგინა $(142,986,448 + 19,070,928=162,057,376)$ 162,057,376 ლარი. სხვაობა დანართ N5-ში ასახულ წინა წლების ავანსების დაფარვით შესყიდვის ნაწილში 121,288.394 ლარსა და დაფარულ ავანსებს შორის 162,057,376 ლარს შორის 40,768,982 ლარი არის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (3,085,429 ლარ) და სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრისა (37,683,553 ლარი) წინა წელს გამოუყენებელი და ბიუჯეტში დაბრუნებული ავანსები.

ამ დანართში, ასევე ასახულია მიმდინარე წლის შესყიდვაში „ძირითადი აქტივის შესყიდვა“ 1,241,906,611 ლარის, „არაწარმოებული აქტივის შესყიდვა(მიწა)“ 32,949,597 ლარის. სულ მიმდინარე წლის შესყიდვამ შეადგინა - 1,274,856,208 ლარი. 2019 წელს არაფინანსური აქტივის შესაძენად (იხ. დანართი N3) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებამ საბიუჯეტო სახსრებით შეადგინა - 1,618,395,368 ლარი არასაბიუჯეტო სახსრებით არაფინანსური აქტივის შესაძენად მიღებულია - 2,508,450 ლარი. ჯამში არაფინანსური აქტივის შესაძენად დანართი N3-დან დაფინანსებამ შეადგინა - 1,620,903,818 ლარი. მიმდინარე წლის შესყიდვაში ასევე მონაწილეობს დანართი N4-დან - 15,438,013 ლარი, რაც სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დახარჯულია კაპიტალური აქტივების შესაძენად. სულ. 2019 წელს არაფინანსური აქტივების შესაძენად თანხამ შეადგინა $(1,620,903,818 + 15,438,013 = 1,636,341,831)$ 1,636,341,831 ლარი. 2019 წელს წარმოშობილმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა - 440,256,423 ლარი (დანართი N9), 2019 წელს წარმოშობილმა კრედიტორულმა დავალიანებამ არაფინანსური აქტივის შეძენით შეადგინა - 113,071,044 ლარი (დანართი 10). გასული წლების დაფარული კრედიტორული დავალიანებაა - 30,726,263 ლარი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის № 871 განკარგულების საფუძველზე და შპს საქართველოს სამშენებლო კომპანიასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ჩამოწერილმა კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა - 2,257,816 ლარი, აღნიშნულ შესყიდვაში ასევე მონაწილეობს - 5,831,797 ლარი 2019 წელს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება, რომელიც 2019 წელს რეკლასიფიცირდა და დაიფარა სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ არაფინანსური აქტივის მუხლიდან. მაშასადამე მიმდინარე წლის ძირითადი აქტივების შესყიდვამ შეადგინა $(1,636,341,831 - 440,256,423 - 30,726,263 + 113,071,044 + 2,257,816 - 5,831,797 = 1,274,856,208)$ 1,274,856,208 ლარი. მათ შორის ძირითადი აქტივი - 1,241,906,611 ლარი, არაქარმოებული აქტივი (მიწა) - 32,99,597 ლარი. 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგების დანართ N9-ში ასახულია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის

წლების მიხედვით. დანართ N10-ში ასახულია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით. დანართ N11-ში ასახულია ინფორმაცია ფინანსური აქტივების და მოთხოვნების შესახებ დებიტორების მიხედვით, დანართ N12-ში ასახულია ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით, დანართ N13-ში ასახულია ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ.

შენიშვნა:

ფინანსურ ანგარიშგებაში და დანართებში შიდა ბრუნვები არ არის გათვალისწინებული;

კონსოლიდირებული ერთეულები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს აპარატი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი

სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38